



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N 3**

ქ. ლანჩხუთი

21. 03. 2017 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორი ვლადიმერ ჩხაიძე, საკრებულოს დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ გამგეობიდან შემოსულია კიდევ ერთი საკითხი და მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული პროექტიც შეტანილიყო დღის წესრიგში.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დატვიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

5. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

6. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

7. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29

აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროსათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

13. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

14. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ნაჭყებია/

15. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ბ. ტაბიძე/

16. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ა. სარიშვილი/

17. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 31 მარტი, 11 საათი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დატკიცების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორმა, **ვლადიმერ ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ „საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური წარმოების ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის N73 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი. საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმები ასევე დაევალა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებს 2016 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყონ ღონისძიებების გატარება დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ხოლო ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შერჩევითი კონტროლის განხორციელება უნდა დაიწყოს 2016 წლის 15 იანვრიდან.

ასევე, შეტანილ იქნა ცვლილება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში „ტექნიკური რეგლამენტი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ“. შეტანილი ცვლილებების მიხედვით საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების შეუსრულებლობა გამოიწვევს ფიზიკური პირების და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების დაჯარიმებას 50 ლარის, ხოლო იურიდიული პირების - 100 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში ფიზიკური პირის - 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირის - 500 ლარით დაჯარიმებას. ასევე, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი თავისი საქმიანობით არ იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გამოიწვევს მათ დაჯარიმებას შესაბამისად 500 და 1000 ლარის ოდენობით.

შესაბამისად, შეტანილ იქნა ცვლილება ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ -ის დებულებაში. ამასთან, ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრ“-ს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 10 მარტის N62 ბრძანების საფუძველზე დაევალა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება და კონტროლი. აქედან გამომდინარე, გასულ წელს ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის მიერ პირველ რიგში ჩატარდა მონიტორინგი. მოხდა იმ დაწესებულებების აღრიცხვა, რომლებიც არიან რეგისტრირებული და ეწვეიან აღნიშნულ საქმიანობას. ასეთი დაწესებულება სულ გახლდათ 11, ხოლო დღევანდელი მონაცემებით ფუნქციონირებს - 9. ყველა მათგანს მიეცა სათანადო რეკომენდაცია აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე. ასევე გადამოწმებულ იქნა საჯარო რეესტრში

გაცემული ნებართვა მათი საქმიანობის შესახებ და გადაეცათ დოკუმენტი აღნიშნული ცვლილებების შესახებ.

დ.კ.ე.ც-ს მიერ მოწოდებული კითხვარის საფუძველზე ჩატარდა მონიტორინგი, მოსამსახურე პერსონალი გაფრთხილებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტის დაცვის თაობაზე, მიეცათ გონივრული ვადა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. დაურიგდათ შესაბამისი კითხვარი - სახელმძღვანელო, რომლის შესრულებაზე დადასტურება მოხდა მათივე ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, კანონის შესაბამისად ა(ა)იპ - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრ“-ს აქვს უფლებამოსილება ჩატაროს შერჩევითი მონიტორინგი აღნიშნულ ობიექტებზე წლის ნებისმიერ დროს, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. სანქციების გატარებისთვის აუცილებელია ა(ა)იპ -ის გადაეცეს დარღვევის აქტის დადასტურების შესაბამისი ფორმა, რომელიც გააჩნია მუნიციპალიტეტის გამგეობას. აღნიშნულ მონიტორინგს და სანქცირებას განახორციელებს ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრ“-ს ექიმი - ჰიგიენისტი ე.ჯიბლაძე.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტის მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დატვიცების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ლანჩუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩუთისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორი ვლადიმერ ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ და სხდომის წარმართვა დაავალა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბესიკ ტაბიძეს. მან აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36² მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულების მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ, როგორც წესი ინიშნება ამავე დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულო. მან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე.

ბიუროს წევრები მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს: „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ პროექტი მომზადდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოებს დაევალებათ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის, სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის, დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტებისა და დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებისა და დადგენის მიზნით, 2017 წლის 1 აპრილამდე შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება. აქედან გამომდინარე, მომზადდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ნორმატიული აქტის სახით.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მან საფუძვლიანად შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლამდელ - სააღმზრდელო დაწესებულებებს ფაქტობრივად უწესდება ორი მაკონტროლებელი სუბიექტი. ესენია: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო“ ცენტრი, ხოლო მეორეს მხრივ გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, რაც მისი თქმით არ არის მართებული. იგი დაინტერესდა- მოხდა თუ არა შეთანხმება საკითხზე, რომ სკოლამდელ - სააღმზრდელო დაწესებულებას მხოლოდ ერთი მაკონტროლებელი ჰყავდეს.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ საკითხი

წარმოდგენილია პროექტის სახით, რომლის დეტალური განხილვაც მოხდება საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში. საბოლოოდ კი ჩამოყალიბდება შეჯერებული ვარიანტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გამოთქმული ყველა წინადადება და შენიშვნა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო“ ცენტრმა, ასევე საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა იურიდიულ საკითხებში, ია მოქიამ უდიდესი სამუშაო გაწია და მოამზადა წარმოდგენილი საკითხის ალტერნატიული დოკუმენტი, რომლის გადაგზავნაც მოხდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მათი მხრიდან წარმოდგენილ იქნა რადიკალურად განსხვავებული პროექტი. მასში არ არის ჩამოყალიბებული, (ადრეული და სკოლამდელი აღრდისა და განათლების, შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად) რომ უნდა შეიქმნას დაწესებულება, ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხების ორგანიზებას. საქართველოს მთავრობის პირდაპირი მოთხოვნა არის, მიღებულ იქნას აღნიშნულ საკითხებზე ნორმატიული აქტები, რის შემდგომ მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს დოკუმენტი, თუ როგორ განხორციელდეს მუნიციპალიტეტში არსებულ თითოეულ საბავშვო ბაღში ავტორიზაცია. მისი თქმით, ა(ა)იპ „ სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო“ ცენტრის თანამშრომლები უნდა გადანაწილდეს ავტორიზირებულ ბაღებში, სადაც არის კვალიფიციური კადრების დეფიციტი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უკვე დაიწყო რეფორმის გატარება. კერძოდ, მოახდინა თავის საკუთრებაში არსებული იმ ა(ა)იპ-ის ლიკვიდაცია, რომელიც უზრუნველყოფდა სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ალექსანდრე სარიშვილი** დაინტერესდა, თუ 1 აპრილამდე უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ის ლიკვიდაცია, მაშინ სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებები როგორ განხორციელებენ შესყიდვებს და როგორ აწარმოებენ ბუღალტერიას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** განმარტა, რომ როდესაც მოხდება ა(ა)იპ ლიკვიდაცია, თანამშრომლების სამი თვის სახელფასო კომპენსაციისთვის მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს შესაბამისი თანხები. სამი თვის შემდგომ ბაღებში საზაფხულო არდადეგები გამოცხადდება და შესყიდვების განხორციელება არ იქნება საჭირო. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი აღნიშნული რეფორმის გატარებას რაც ადრე დაიწყებს, მით უფრო უკეთესი იქნება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ იგი რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი, ასევე ლანჩხუთის და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი. შეხვედრაზე გაჟღერებულ იქნა წინადადება, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ოპერატიულ ვადებში მოწესრიგდეს სუფსისა და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვი ბაღებთან არსებული პრობლემები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რაიმე სტანდარტებზე საუბარი უხერხულია. მან მაგალითისთვის მოიყვანა ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულისა და სოფელ ხაჯალიის საბავშვო ბაღები, რომლებიც კერძო სახლებში არიან შეხიზნულები, სადაც ნორმალური სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ჩატარება ფაქტობრივად შეუძლებელია. კედლები დაზიანებულია, არ არსებობს დარბაზი, სადაც ბავშვები გამართავენ ამა თუ იმ ღონისძიებებს და ა.შ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ბაღებთან დაკავშირებული საკითხები არის ძალიან მნიშვნელოვანი და სათუთი თემა. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, მის თავმჯდომარეს, ია ჩხაიძეს, ასევე საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარ სპეციალისტს იურიდიულ საკითხებში, იურისტს ია მოქიას ალტერნატიული პროექტის შემუშავებისთვის. მან იქვე დასძინა, რომ სასურველი იყო მეტი კოორდინაცია ყოფილიყო მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას შორის, რათა მომხდარიყო აღნიშნული საკითხის ერთ შეჯერებულ ვარიანტად წარმოდგენა . აქედან გამომდინარე, უმჯობესია პროექტების შესწავლის მიზნით განხილვა მოხდეს საკრებულოს ყველა კომისიისა და ფრაქციის მიერ, ხოლო მორიგ საკრებულოს სხდომაზე ერთიანი დოკუმენტის სახით იქნას წარმოდგენილი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ინიცირებული ალტერნატიული პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. დადგენილების პროექტები განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს: „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტები კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, ალტერნატიული პროექტის მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პროექტში ჩამოყალიბებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის ძირითადი პრინციპები, მიზნები და პროცედურები, რომლითაც იხელმძღვანელებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შიდა მონიტორინგის და შეფასების განხორციელების დროს. შიდა მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების პროცესის პარალელურად თავად დაწესებულების მიერ და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ანგარიშგებას „ადრეული და სკოლამდელი

აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინააღმდეგობები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ინიცირებული ალტერნატიული პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. დადგენილების პროექტები განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, თამარ ფირცხალაიშვილი, ალტერნატიული პროექტის მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 13 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების განსაზღვრა, დაწესებულების ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ინიცირებული ალტერნატიული პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2.დადგენილების პროექტები განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, თამარ ფირცხალაიშვილი, ალტერნატიული პროექტის მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 13 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პერსონალის პროფესიული სტანდარტი არის პროფესიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ერთობლიობა, რომელსაც უნდა ფლობდეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალი. სტანდარტი განსაზღვრავს დაწესებულების პერსონალის პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და ვალდებულებებს საკუთარი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ინიცირებული ალტერნატიული პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2.დადგენილების პროექტები განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, თამარ ფირცხალაიშვილი, ალტერნატიული პროექტის მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 13 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

1. განათლება:

ფლობს არანაკლებ ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ნებისმიერი მიმართულებით, აქვს დაწესებულებაში მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება ან განათლების ადმინისტრირების კუთხით 5 წლიანი გამოცდილება. სასურველია ფლობდეს სასერთიფიკატო პროგრამებს ადრეული განათლების, ლიდერობის, განათლების ადმინისტრირების, ადამიანური რესურსების მართვის კუთხით.

2. ცოდნა:

- ა) იცის საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.
- ბ) იცის ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული სტანდარტები (საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურის, წყალი, სანიტარია, ჰიგიენის, კვების);
- გ) იცის ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები;
- დ) იცის ინკლუზიური განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობა, რეგულაციები, სტანდარტები;
- ე) იცის ბავშვთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობა, რეგულაციები, სტანდარტები;
- ვ) იცის ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- ზ) იცის ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პრინციპები; ინკლუზიური განათლების პრინციპები;
- თ) იცის ბავშვის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის პრინციპები; ი) იცის ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები;
- კ) იცის ორგანიზაციული ქცევის თეორიული საფუძვლები; ლ) იცის ლიდერობის თანამედროვე თეორიები;
- მ) იცის საქართველოს შრომის კოდექსი;

ნ) იცის ფინანსური მართვის საფუძვლები.

3. ტექნიკური უნარები:

ა) ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს: Word, Excel, Power Point.

ბ) შეუძლია ელექტრონული დოკუმენტაციის და ელექტრონული პორტალის წარმოება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მომწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ინიცირებული ალტერნატიული პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. დადგენილების პროექტები განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება-მრწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტები კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, თამარ ფირცხალაიშვილი, ალტერნატიული პროექტის მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 13 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ ბიუროს წევრებს თხოვნით მიმართა, რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო ის ტოვებს სხდომას და თავმჯდომარეობას გააგრძელებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, რაზეც ბიუროს წევრების მხრიდან თანხმობა მიიღო.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით პრემიერ-მინისტრთან არსებულმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა, თავისი კომპენტენციის ფარგლებში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაზე განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილ შეუსაბამობის თაობაზე, წარმოადგინა სამართლებრივი დასკვნა, რომელიც ძირითადად შეეხება დადგენილების ტექსტში „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ვეტერანთა კატეგორიის აღნიშვნასა და სოციალური დახმარების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის დაზუსტებას.

პროექტთან დაკავშირებით, ასევე გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა წარმოადგინა ინიციატივა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აღრიცხვაზე მყოფი 170 მეორე მსოფლიო და ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილე ვეტერანებიდან, იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დაავადებული არიან C ჰეპატიტით, დაუწესდეს შეღავათი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით“ სარგებლობისას არ მოეთხოვოს წარსადგენ დოკუმენტად ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ.

ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების პაკეტში, რომელიც ითვალისწინებს C ჰეპატიტით დაავადებულთა დახმარებას, აღნიშნული ქვეპროგრამის მუხლში უნდა მოხდეს სარეიტინგო ქულების გაუქმება და დახმარება ნებისმიერ დაავადებულ ბენეფიციარს უნდა გაეწიოს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების გაცემის წესის

მიხედვით დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ და რეგისტრირებულ მოქალაქეებზე, რაც მისი თქმით, არასწორია. მისი თქმით, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქე დროებით შეიძლება ცხოვრობდეს სხვა ქალაქში, ამიტომ მუნიციპალიტეტმა მის დახმარებაზე უარი არ უნდა თქვას. აქედან გამომდინარე, სოციალური დახმარების გაცემის წესში სიტყვა „მცხოვრები“ არის ამოსადები და მის ნაცვალ ჩასაწერია „მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყველა მოქალაქე“.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ერთჯერადი დახმარების პროგრამას განხილვისას თავიდან მასში გათვალისწინებული არ იყო სარეიტინგო ქულა, მხოლოდ შემდგომ მოხდა სარეიტინგო ქულის დამატება. ეს არის მოსახლეობისთვის დამატებითი ბარიერის შექმნა. მისი აზრით, სოციალურ პაკეტში ერთჯერადი დახმარების პროგრამაში უნდა შევიდეს ცვლილება და სარეიტინგო ქულასთან დაკავშირებული ბარიერი მოხსნილი უნდა იყოს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს: „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, რომლის მოთხოვნების შესასრულებლადაც გამგეობაში შეიქმნა კომისია. მას სრულყოფილი მუშაობისათვის ესაჭიროება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ. მისი აზრით, ეს საკითხი მისაღებია დროულად, რადგან 2011 წლის შემდეგ არ მომხდარა უძრავი და მოძრავი ქონების ჩამოწერა, რომლებიც ამას ექვემდებარებიან.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება– კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტებს დაევალებათ განახორციელონ სათანადო ღონისძიებები, რათა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ძირითადად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდიების“ მუხლებში) შეადგენდეს არა უმეტეს 2016 წლის საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს. ანალიზით ირკვევა, რომ შესაბამისი ღონისძიებების გატარება მიმდინარეობს შეფერხებით. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაჩქარდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრების შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება შემცირდეს 100644 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი 99150 ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯი 1494 ლარით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები 70312 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი 43100 ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯი 27212 ლარით, ასევე შეუმცირდეს 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება; ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვის - 59600 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის - 32200 ლარით, ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა - 10000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების - 24900 ლარით. გამგეობის ვალდებულების კლების მუხლი 4890 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 4890 ლარით (ადმინისტრაციული შენობის ინტერნეტ ქსელის რეაბილიტაციისათვის).

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით ინფეასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად განისაზღვრა 2597500 ლარი, მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 2415000 ლარი, ხოლო თანადაფინანსებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 127500 ლარი, დამატებით გამოსაყოფია 55000 ლარი ქალაქ ლანჩხუთის, ჩიბათის და ლესის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაციის დაფინანსების მიზნით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ 3 წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ინტერნეტ მიწოდების პრობლემა ვერ მოგვარდა, რაც დეპუტატის თქმით, არის სამარცხვინო ფაქტი.

ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ თანამშრომლები, რომლებიც თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით ნამდვილად იმსახურებდნენ მე-13 თვის ხელფასის დარიცხვას, მოტყუებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით გამოდის, რომ პირიქით-ხარჯების შემცირებაზეა საუბარი. იგი დაინტერესდა, თუ რატომ გახდა საჭირო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აღნიშნული ცვლილებების განხორციელება.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხია** განმარტა, რომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტებს დაევალიათ განახორციელონ სათანადო ღონისძიებები, რათა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში(გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ძირითადად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდიების“ მუხლებში) შეადგენდეს არა უმეტეს 2016 წლის საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს. ანალიზით ირკვევა, რომ შესაბამისი ღონისძიებების გატარება მიმდინარეობს შეფერხებით. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაჩქარდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრების „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის მოთხოვნის შესაბამისობაში მოყვანა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ გასული თვის საკრებულოს სხდომაზე მოხდა არაფინანსური აქტივების მუხლის კლების შედაგად მიღებული შემოსავლის გეგმის 150 000 ლარით გაზრდის დამტკიცება, რომელიც უნდა მიმართულიყო მუნიციპალიტეტში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების 13 თვეზე გაზრდაზე. იგი დაინტერესდა, აღნიშნული ცვლილება წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ისევ მცირდება თუ არა, რაზეც გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი, **როლანდ ლაშხია** დაეთანხმა.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2017 წლის 13 თებერვლის N 227 წერილით მომართა სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანა“-ს (ს/კ 433 642356) დირექტორმა ქალბატონმა ციციწო ჩხარტიშვილმა სადაც დასმულია საკითხი ქ. ლანჩხუთში მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 747 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.06.56.86) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანა“-ს ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ყოველთვის ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გადაეცეს სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანა“-ს (ს/კ 433 642356) სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქ. ლანჩხუთში მარჯანიშვილის ქ. N11-

ში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 747 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ27.06.56.86)

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება– კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროსათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ სამსახურს დაეწერა საქართველოს პარლამენტის წევრის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის ქალბატონ ნინო წილოსანის წერილი ლანჩხუთისა და ჩოხატაურის N 60 მაჟორიტარული ოლქის ბიუროს ფინქციონირებისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ლანჩხუთში, კოსტავას ქუჩა N 37-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ 27.06.52.114) ორი ოთახის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემის შესახებ „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო

საფასურის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ლანჩუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროსათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩუთისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბესიკ ტაბიძემ, კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე: ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან: არქიტექტურის განყოფილება და საპროექტო

განყოფილება, რომელიც შეიქმნა 2011 წლის აპრილის თვეში. არქიტექტურის განყოფილებაში დასაქმებულია 4 თანამშრომელი, რომლებიც დაკავებული არიან: ურბანიზაციისა და არქიტექტურის საკითხებით, მშენებლობის ნებართვებით, შეთანხმებებისა და ექსპლუატაციაში მიღების საკითხებით.

საპროექტო განყოფილებაში დასაქმებულია 5 თანამშრომელი, რომლებიც დაკავებული არიან მუნიციპალიტეტის მაშტაბით განხორციელებული ყველა სახის მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის დამუშავებით. ასევე განყოფილება მუშაობს ყველა სახის დასკვნებისა და დეფექტური აქტების მომზადებაზე, რომლებიც შეიცავს მოსახლეობიდან შემოსულ თხოვნებს, ასევე წარმოებული მშენებლობების მდგომარეობას.

არქიტექტურის განყოფილების მიერ 2016 წლის განმავლობაში გაცემულია მშენებლობის

21 ნებართვა, შეთანხმდა 17 პროექტი, ექსპლუატაციაში აყვანილ იქნა 11 ობიექტი. ამავე განყოფილებიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით შემოვიდა 6559,7 (ექვსიათასხუთასორმოცდაცხრამეტი და შვიდი) ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური ასევე აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული თხოვნა-განცხადებების აღრიცხვას, კონტროლსა და მათზე რეაგირების საქმეს. 2016 წელს აღნიშნულ სამსახურში მოსახლეობიდან შემოვიდა 610 განცხადება, რომელთაგან მომზადდა 544 დასკვნა. დამუშავების სტადიაშია 64 განცხადება. რაც შეეხება საპროექტო განყოფილებას, 2016 წლის განმავლობაში დაპროექტებული აქვს 257 ობიექტი, საერთო ღირებულებით 7 882301 (შვიდი მილიონ რვაასოთხმოდორიათას სამასერთი) ლარი. ამათგან:

- 1) „სოფლის მხარდამჭერი პროგრამით“ 167 პროექტი- ღირებულებით 898 748 ლარი.
- 2) სტიქიის შედეგად დაზიანებული ოქბიექტების 56 პროექტი - 1 050 000 ლარი.
- 3) სხვადასხვა პროგრამებით გათვალისწინებული 10 პროექტი- ღირებულებით 91 557 ლარი.
- 4) 2016 წელს ინფრასტრუქტურით გათვალისწინებული ობიექტების 24 პროექტი- ღირებულებით 5 841 996 ლარი.

აღნიშნული სამუშაოების გარდა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მშენებლობებს მათი ხარისხიანად შესრულების მიზნით.

საკრებულოს დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** მიმართა ბიუროს წევრებსგან სხდომაზე სიტყვით გამოსვლის ნებართვა აიღო, რაზეც ბიუროს წევრებსიგან დასტური მიიღო. მან აღნიშნა, რომ გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურმა მართალია ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მისი თქმით, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახსრობის გამო ვერ განხორციელდა წყლის და ხიდის პროექტი, რაც მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხებია.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწამემ**, აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ბესიკის ქუჩის მაცხოვრებლების მიერ მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოვიდა საჩივარი. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ აღნიშნულ ქუჩაზე ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით. მისი თქმით, ჯიხეთის მონასტრის ინფრასტრუქტურული პროგრამისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო შესაბამისი სახსრები. მუნიციპალიტეტის გამგებლისგან იყო დაპირება, რომ იანვრის თვისთვის აღნიშნული

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დაიწყებოდა. დეპუტატი დაინტერესდა დაიწყო თუ არა ამ პროექტის განხორციელება.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ბესიკის ქუჩის პროექტში გათვალისწინებული იყო სანიაღვრე არხების მოწყობა. მოსახლეობის მოთხოვნა იყო ასფალტის საფარიც დაგებულიყო, რაც პროექტით არ იყო გათვალისწინებული. ჯიხეთის პროექტთან დაკავშირებით გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურიდან რაიმე შემაფხვებელი გარემოება არ არის, როდესაც მოხდება შესაბამისი სამსახურისგან დაფინანსება, იგი წარმატებით განხორციელდება.

ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული პროექტები არ არის საკმარისად განხორციელებული. მისი თქმით, მოუწესრიგებელია სუფსის ცენტრი, ცენტრთან მისასვლელი გზა ფაქტობრივად მიუვალაია.

ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტები თავიდანვე არ იყო სწორად დაგეგმილი, გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ იყო სწორად დაგეგმილი, გათვლა იყო მხოლოდ იაფ ფასიანი პროექტების განხორციელებაზე, მსგავსი პროექტები კი არ შეიძლება ყოფილიყო ხარისხიანი. მან მაგალითისთვის მოიყვანა ჩოჩხათი-სუფსა გულიანის გზის მონაკვეთი, სადაც უხარისხოდ არის შესრულებული სამუშაოები.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთში ადმინისტრაციული შენობის წინ დაგებული ფილების ხარისხი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა ჰქონდეს პერსპექტიული განვითარების გეგმა. იგი დაინტერესდა, აქვს თუ არა შემუშავებული მუნიციპალიტეტს მსგავსი დოკუმენტი.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ პერსპექტიული განვითარების გეგმა არის საკმაოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ ამ მოცემულობაში მუნიციპალიტეტს მისი შემუშავებისთვის საჭირო ფულადი სახსრები არ გააჩნია.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებზე გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ლესის ადმინისტრაციული ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტთან შეთანხმების გარეშე მოსახლეობისგან იტოვებს დოკუმენტაციას, პირადობის მოწმობებს და მათ ჰპირდება სამუშაოს დაწყებას, რომელიც უნდა შეასრულოს იტალიურმა კომპანიამ. იგი დაინტერესდა თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს აღნიშნული ფაქტი.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ, აღნიშნა რომ არანაირ მსგავს ფაქტს არ აქვს ადგილი. ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მეგობარი არის

სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის ხელმძღვანელი, რომელმაც სთხოვა მას , რადგან იგი არ იცნობდა ქალაქს, დახმარება გაეწია მისთვის.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიუროს წევრების მიერ გამოითქვა სურვილი მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა სამსახურის ანგარიშის მოსმენა მოხდეს საკრებულოს სხდომებზე ეტაპობრივად. შეთანხმდნენ, რომ მორიგი საკრებულოს სხდომაზე მოისმენდნენ გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის, ასევე გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურების ანგარიშს.

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, ბიუროს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, მოსმენისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში. ხოლო ანგარიშის წარმოდგენა დაევალა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს ლევან ჩხაიძეს.

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყემაძემ. მან აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ძირითადი ამოცანებიდან, ფუნქციებიდან გამომდინარე უფლებამოსილებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

სამსახურის მიერ შემოწმებული იქნა გამგეობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების, „სოფლის განვითარების პროგრამისა“ და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესაბამისად ჩატარებული კრების ოქმების შესწავლით დადგინდა, რომ მოსახლეობის ჩართულობა ძალზე დაბალია, სულ კრების მუშაობაში მთელს რაიონში 1147 კაცი მონაწილეობდა, რაც მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 3,4 %-ს შეადგენს.

2015 წელს რეგიონალური განვითარების ფონდით ინფრასტრუქტურულ პროდუქტებზე დახარჯულია 3 844 718 ლარი, მათ შორის ბაგა-ბაღების მშენებლობაზე 895 850 ლარი, მთლიანი თანხის 23,3%-ი. შესრულებული სამუშაოებიდან გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების შეკეთებაზე დახარჯული 33 054 ლარი, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აგვისტოს #1750 განკარგულებასთან „რეგიონალური განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შესახებ“ კერძოდ მუხლი 17 კ1 პუნქტით დაფინანსებული პროექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა იყოს 50 000 ლარზე ნაკლები. ამ პროექტისათვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სამუშაოები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მცირე გამოწვევის გარდა. მაჩხავართის და აკეთის ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით 400 950 ლარი, რომელსაც აწარმოებდა შპს „ხურო“ ხელშეკრულება #219 სამუშაოები 29 სექტემბრის ნაცვლად 6 ოქტომბერს დამთავრდა , რისთვისაც დაჯარიმდა 13

დღეზე 208,07 ლარით. ქ. ლანჩხუთის წმ.ნინოს და დუმბადის ქუჩებზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე მოწყობაზე (ხელშეკრულება #213) დაჯარიმდა 7 დღეზე 105,94 ლარით.შესრულებულ სამუშაოთა უმრავლესობაზე ჩატარებულია საექსპორტო დასკვნები. შემოწმებულ იქნა შპს „საფეხბურთო კლუბი გურია 2000“. სფეხბურთო ორგანიზაციაში არ არის სწორად დაგეგმილი წლის ბიუჯეტი, 2014 წელს გამოყოფილი 105 000 ლარი, რომელიც მთელ წელზე იყო გათვლილი ნოემბერში მთლიანად იყო ამოწურული, სახელფასო ფონდიდან თანხა გადატანილი აქვთ ავეჯის შესაძენად, ლოჯის მოასაწყობად, ისე რომ ხარჯთაღრიცხვაში ცვლილება არ განხორციელებულა. ცალკე აღსანიშნავია, რომ შპს „საფეხბურთო კლუბი გურია 2000“- მა სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე კლუბ ლანჩხუთის „გურია“-ს ასესხა 3000 ლარი, ამ თანხის ნაწილი 1759 ლარი დაბრუნებული იქნა, 1241 ლარი კი დღესაც დავალიანებად ირიცხება. მიუხედავად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 4 სექტემბრის #286 ბრძანებით შპს „საფეხბურთო კლუბი გურია 2000“-ზე რიცხული ქონება, არასასოფლო-სამეურნეო მიწისა და სხვადასხვა ქონების საწესდებო კაპიტალიდან ამოღებასა და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიასათვის“ გადაცემის თაობაზე არ არის აღსრულებული, რადგანაც შესაბამისი დოკუმენტები საჯარო რეესტრში არ იქნა წარდგენილი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლაში“ ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებით აღმოჩნდა, რომ უხარისხოდაა ნაწარმოები საბუღალტრო საბუთები, არ ხდება მომსახურებობებზე მიღება-ჩაბარების და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნები, ადგილი აქვს ხარჯების მუხლებში თანხების გადანაცვლებას ისე, რომ ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები არ განხორციელებულა. მივლინებების შედგენისას ბრძანებები შედგენილია არასწორად, ხშირ შემთხვევაში არ არის დანომრილი, მივლინების ფორმები შევსებულია უხარისხოდ, რიგ შემთხვევაში გაანგარიშებაც არასწორად არის ნაწარმოები. დაუგეგმავად აქვთ შეძენილი 01.08..2014 წელს 800 ლარის საჩუქარი, რაზედაც არ არის დაკავებული საშემოსავლო გადასახადი.

ასევე შესყიდვების გეგმის გარეშე აქვთ შეძენილი 231 ლარის მედლები, აღნიშნული მედლები, ვის ან როდის გადაეცა არა არის დაფიქსირებული.

2014 წლის 20 ნოემბერს შედგენილია სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საფეხბურთო სკოლამ „ლანჩხუთის გურიას“ სესხის სახით გადასცა 2000 ლარი.

2015 წელს სამი თვის დეკლარაცია საერთოდ არ არის ჩაბარებული, ხოლო დანარჩენ თვეებზე წარდგენილი აქვთ ნულოვანი დარიცხვა. ა(ა)იპ ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლაში შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამო სკოლის დირექტორს სულხან წილოსანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, მასვე დაევალა შესაბამისი ზომების მიღება მთ. ბუღალტრის კ.დოლიძის მიმართ. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალურ სარაგბო-საფეხბურთო სკოლა-ში გამოვლენილი იქნა რიგი ნაკლოვანებები. ხელშეკრულებების თანახმად, მძღოლები თავიანთ სატრანსპორტო საშუალებებით უწევენ მომსახურებას სკოლას, მაგრამ წარმოდგენილ საბუთებზე არ არის დაფიქსირებული გარბენილი კილომეტრობა. არ არის ბრძანებები დაწერილ , თუ რის საფუძველზე განხორციელდა ესა თუ ის მომსახურება, ადგილი აქვს მივლინებისა და ტრანსპორტის თანხების დაგვიანებით ჩარიცხვას. არ ხდება შეძენილი სპორტული ინვენტარის აღრიცხვა ასევე არ არის დაფიქსირებული ვის ან როდის გადაეცა სკოლის მიერ შეძენილი წიგნები, თასები და მედლები. ა(ა)იპ „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-ის შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ადგილი აქვს ხელშეკრულების გაფორმებამდე აღნიშნულ მომსახურებაზე ს/ზედნადების წარმოდგენას. ადგილი აქვს თანხების ავანსად ჩარიცხვას მიმწოდებლის მიერ ა./ფაქტურის წარმოდგენამდე. შპს „მეტრომატ“-ს

ს/ზედნადები წარმოდგენილი ააქვს 10.03.2014 წელს, მომსახურეობის თანხა კი ჩარიცხულია 07.03.2014 წელს.

დარღვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები, რაზედაც არ არის განხორციელებული საჯარიმო სანქცია. ხელშეკრულება #36 შედგენილია 14.07.2014 წელს ი/მეწარმე გ.პატარაიასთან ტრანსპორტის მომსახურეობაზე 21.07.2014 წლის ჩათვლით. აღნიშნულ მომსახურეობაზე ინვოისი 23.07.2014 წელს არის წარმოდგენილი. შესრულებული სამუშაოს აქტივ 23.07.2014 წელს არის შედგენილი. ხელშეკრულების

9.2 მუხლის მიხედვით „მიმწოდებელ“-ს უნდა დაკისროდა პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით გადაცილებულ დღეებზე, რაც არ არის გაკეთებული.

საწვავის ჩამოწერისას საგზაო ფურცლებში არ არის აღნიშნული მგზავრობის მიზნობრიობა, გასვლის ადგილი, დანიშნულების ადგილი.

2015 წლის 30 დეკემბრს დადებული # 5,6,7,8,9 ხელშეკრულებების თანახმად სამგზავრო გადაზიდვის მარშრუტის შემსრულებლების ქირის შემოტანის ვადა ყოველი თვის 28 რიცხვია. დარღვეულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტი, რომლის თანახმად (ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის) შემსრულებელი უხდის დამკვეთს ჯარიმის სახით, თვიური საიჯარო ქირის 0,1% -ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღისთვის რაც არ არის განხორციელებული. ხელშეკრულებების თანახმად 2016 წლის ხუთ თვეში მომსახურეობის თანხა 3150 ლარის ნაცვლად შემოტანილია 3000 ლარი, 150 ლარი ნაკლები.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანების“ შემოწმებით სერიოზული დარღვევები იქნა აღმოჩენილი.

დარღვევებია ტრანსპორტით მომსახურეობის საქმეში, ადგილი აქვს ხელოვნურად მიმოსვლის მანძილის გაზრდას.

სტუმრების მომსახურეობის რიგ შემთხვევაში ი/მეწარმეებიდან წარმოდგენილ ინვოისებში და არც ინსპექტირების დასკვნებში არ დგინდება „მიმწოდებლის“ მიერ შერულებული ვალდებულებების აღწერა, თუ რამდენ ადამიანს გაეწია მომსახურეობა. არ ხდება შეძენილი საქონლის საწყობზე აყვანა და შემდგომ მისი ჩამოწერა.

მასიური ხასიათი აქვს ხელფასების ავანსად გაცემის ფაქტებს, ყოველგვარი განცხადების და დირექტორის რეზოლუციის გარეშე. არასწორად არის ნაწარმოები საბუღალტრო საბუთები, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ადგილი აქვს თვეების მიხედვით მომსახურების მუხლებში გადახარჯვას. რაც წლის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებულ ხარჯებს არ ემთხვევა. შემოწმების დროისთვის

არაერთი სიტყვიერი, წერილობითი მოთხოვნისა არ მოხერხდა საქართველოს ბანკიდან

(ტაო პრივატ ბანკის) ამონაწერის მოტანა, რაც გარკვეულ ეჭვს იწვევს.

დანაშაულის ნიშნის შემცველია ცენტრის საფინანსო განყოფილების უფროსის გიორგი ჩხაიძის მიერ მის პირად ანგარიშზე რეგულარულად ჩარიცხული „საქვეანგარიშო“ მოტივით თანხები დირექტორის რეზოლუციისა და ბრძანებების გარეშე, სულ ჩარიცხული აქვს 11275 ლარი, აქედან ოქტომბრის თვეში დაბრუნებული აქვს 1900 ლარი, დეკემბრის თვეში 466 ლარი, ნაშთად 2015 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება 4744 ლარი. აღნიშნული თანხა არ აქვს ასახული წლიურ ბალანსში. საშემოსავლოსა და განაცემთა ინფორმაციის ბაზაში ნულოვანი დეკლარაციის წარდგენამ, მისი შემდგომ პერიოდშიც არ დაზუსტებამ გამოიწვია საშემოსავლო თანხების ზედმეტეობა. 2015 წლის 01 იანვრისათვის ზედმეტად გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 4508,42 ლარი, რაც ასევე არ აქვს ასახული წლიურ ბალანსში.

2015 წლის შემოსულობების, გადასახადების შესრულების ანგარიშის ფორმაში, რომელიც წარდგენილი აქვს საფინანსო განყოფილებაში, ხელფასის სახით განაცემი შეადგენს 849 600 ლარს, აუდიტის სამსახურში წარმოდგენილ ფორმაში 831 762 ლარს, ხოლო დეკლარაციით წარდგენილი აქვს 812 003 ლარი, სწორედ ასეთი უზუსტობები და საქმისადმი არაკეთილსინდისიერი მიდგომა იყო მიზეზი საშემოსავლოსა და განაცემთა ინფორმაციის ბაზაში ნულოვანი დეკლარაციის წარდგენისა. ასევე არასწორად აქვს ასახული ბალანსში ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება 511 957 ლარი, ნაცვლად რეალურად არსებული 492 007,33 ლარისა. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში საშემოსავლო დეკლარაცია საერთოდ არ აქვს წარდგენილი, რამაც გამოიწვია ა(ა)იპ „კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანების“ დაჯარიმება 1490,38 ლარით. 01.09.2016 წლის მდგომარეობით გაერთიანებაში 156 შტატიანი და 164 ხელშეკლრულებით აყვანილი თანამშრომელია, რაც აუცილებლად არის გადასახადი. შიდა აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა შემოწმების მასალების გურიის სამხარეო პროკურატურაში გადაიგზავნა. ცნობად იქნა მიღებული რომ ა(ა) იპ ხელმძღვანელობამ დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლა საგემო-საფინანსო განყოფილების უფროსი გიორგი ჩხაიძე.

შიდა აუდიტორული სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა სხვადასხვა სახის განცხადება, რაზედაც მოხდენილი იქნა შესაბამისი რეაგირება.

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, ბიუროს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით მოსმენისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში. ხოლო ანგარიშის წარმოდგენა დაევა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს გია ნაჭყვებიას.

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბესიკ ტაბიძემ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე სარიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წარმოდგენილია საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნა, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის თაობაზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეჩვიდმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ მოგახსენებთ, რომ ცვლილება ეხება საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის სამტატო რიცხოვნობას, კერძოდ, ნაცვლად 5-სა უნდა განისაზღვროს 4 ერთეულით. ვინაიდან, საორგანიზაციო განყოფილების გამართულად მუშაობისთვის სრულიად საკმარისია 4 მთავარი სპეციალისტი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო